სამოქალაქო იდეა

ტექნოლოგიური ავტორიტარიზმის ექსპორტი:

როგორ ითვისებს ჩინური ტექნიკა საქართველოს სახელმწიფო ინფრასტრუქტურას

2026

სარჩევი

ტექნოლოგიური ავტორიტარიზმის ექსპორტი:
როგორ ითვისებს ჩინური ტექნიკა საქართველოს სახელმწიფო ინფრასტრუქტურას

სამეთვალყურეო სისტემების დანერგვა სახელმწიფო მართვისა და მონაცემთა შეგროვების სტრატეგიულ საფუძველს ქმნის. ამ პროცესის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება პირდაპირ განსაზღვრავს მმართველობის ხარისხს.

შესაბამისად, სახელმწიფო ინფრასტრუქტურაში მაღალი სენსიტიურობის ტექნოლოგიების ინტეგრირება სცილდება ადმინისტრაციულ ჩარჩოს და წარმოადგენს ფუნდამენტურ პოლიტიკურ არჩევანს დემოკრატიულ სტანდარტებსა და ავტორიტარულ წესრიგს შორის.

ბოლო წლების განმავლობაში, საერთაშორისო დისკურსში გამწვავდა დებატები იმ რისკების შესახებ, რომლებიც ავტორიტარული სახელმწიფოების, კერძოდ კი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ წარმოებულ ციფრულ და სამეთვალთვალო ტექნოლოგიებს უკავშირდება. ამ ფონზე, მსგავსი სისტემების საქართველოს სახელმწიფო ინფრასტრუქტურაში დამკვიდრება კომპლექსურ გამოწვევად იქცევა, რადგან ერთდროულად ეხება ეროვნულ უსაფრთხოებას და მონაცემთა სუვერენიტეტს.

„სამოქალაქო იდეა“ წლების განმავლობაში აკვირდება ჩინური ტექნოლოგიების ინტეგრაციის პროცესს საქართველოში. წინამდებარე კვლევა, რომელიც 2025 წლიდან 2026 წლის მარტის ჩათვლით პერიოდს მოიცავს, ეფუძნება სახელმწიფო შესყიდვების დეტალურ ანალიზს.

კვლევის მიზანია შეისწავლოს ჩინური წარმოების ვიდეოსამეთვალთვალო სისტემების გავრცელების მასშტაბები, მოახდინოს ძირითადი მწარმოებელი კომპანიების იდენტიფიცირება და შეაფასოს ის რისკები, რომლებსაც ჩინური ციფრული ეკოსისტემის ექსპანსია წარმოშობს.

ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე ტენდენცია, რომელიც საქართველოში ჩინური ტექნოლოგიების გავრცელების მასშტაბებსა და ხასიათს განსაზღვრავს:

• ჩინური წარმოების სამეთვალყურეო ტექნიკა და ციფრული მოწყობილობები ფართოდ და სისტემურად არის დანერგილი საქართველოს საჯარო სექტორში.

2025 - 2026 მარტი ○——○ **23 სახელმწიფო შესყიდვა**

• ჩინური წარმოების სამეთვალყურეო ტექნიკის ინტენსიური და სისტემური შესყიდვები ადგილობრივი თვითმმართველობების (მუნიციპალიტეტების) დონეზე ფიქსირდება;

სახელმწიფო შესყიდვების დინამიკაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ჩინური ტექნიკის ათვისება საჯარო სექტორში რამდენიმე მსხვილ კერაზეა აქცენტირებული. კერძოდ, კვლევამ გამოკვეთა რამდენიმე ძირითადი უწყება, რომელთა მიერ 2025 წლისა და 2026 წლის მარტის ჩათვლით პერიოდში ჩინური ტექნოლოგიების შესყიდვაზე დახარჯული თანხები მნიშვნელოვნად აღემატება სხვა საჯარო ორგანიზაციების მაჩვენებლებს:

კატეგორია	დაწესებულება	შეძენილი ტექნიკა	დახარჯული თანხა (ლარი)
სპეციალიზებული სააგენტო	ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია	სამეთვალყურეო სისტემა	6,600,795
სპეციალიზებული სააგენტო	ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	სამეთვალყურეო სისტემა	1,972,300
საგანმანათლებლო/ სასწავლო დაწესებულება	შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი	სამეთვალყურეო მოწყობილობა	340,933
სახელმწიფო სააგენტო (გარემოს დაცვა / UAV გამოყენება)	დაცული ტერიტორიების სააგენტო	უპილოტო საფრენი აპარატები (UAV)	231,068

ქართულ სახელმწიფო ინფრასტრუქტურაში ინტეგრირებულ მწარმოებლებს შორის ფიგურირებენ ისეთი კომპანიები, რომლებიც საერთაშორისო დონეზე საეჭვო რეპუტაციით არიან ცნობილები. ამ კომპანიებს შორისაა:

- Hangzhou Hikvision Digital Technology Co., Ltd
- Zhejiang Uniview Technologies Co., Ltd
- Tiandy Technologies
- SZ DJI Technology Co., Ltd
- Autel Robotics,

საეჭვო რეპუტაციის მქონე ჩინური წარმოების სამეთვალყურეო და სხვა სახის ტექნიკის სახელმწიფო ინფრასტრუქტურაში ინტეგრირება რამდენიმე მთავარ რისკ-ფაქტორთან არის დაკავშირებული:

! CISA-სა და FBI-ის ინფორმაციით, ჩინური ტექნოლოგიების ინტეგრირება კრიტიკულ ინფრასტრუქტურაში ქმნის მონაცემებზე ფარული წვდომის საფრთხეს;

! ჩინურ კომპანიებს აქვთ სამართლებრივი ვალდებულება, უპირობოდ ითანამშრომლონ ჩინეთის სპეცსამსახურებთან;

! საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით, ჩინური კრიტიკული სისტემების დანერგვა მყიფე დემოკრატიის ქვეყნებში პოლიტიკური კონტროლისა და რეპრესიული პრაქტიკის დანერგვის საფრთხეს ქმნის.

ზემოაღნიშნული ფაქტორები ქმნის იმ კომპლექსურ მოცემულობას, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო სექტორში ჩინური წარმოების ტექნოლოგიების ინტეგრირების კვლევა აუცილებლობას წარმოადგენს.

ჩინური წარმოების სამეთვალყურეო და ციფრული ტექნოლოგიები სახელმწიფო შესყიდვებში

საქართველოს საჯარო სექტორში ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განახლების პროცესში ჩინური წარმოების სამეთვალყურეო სისტემებისა და სპეციალიზებული ციფრული მოწყობილობების დანერგვა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტენდენციად იქცა.

2025 წლიდან 2026 წლის მარტის ჩათვლით პერიოდში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების მონაცემთა ანალიზი ცხადყოფს, რომ საჯარო ინსტიტუტების ტექნოლოგიური უზრუნველყოფა მნიშვნელოვანწილად უკავშირდება ჩინურ მწარმოებლებსა და მათ პროდუქციას. ტენდენცია აჩვენებს, რომ ხსენებული ტექნიკა მყარად არის ინტეგრირებული საქართველოს ხელისუფლების სხვადასხვა ინსტიტუციურ დონეზე.

მუნიციპალური შესყიდვები: ჩინური ტექნოლოგიების გავრცელების გეოგრაფია

ჩინური წარმოების სამეთვალყურეო ტექნიკის მოხმარების ტენდენციას მუნიციპალურ დონეზე განხორციელებული შესყიდვები თვალსაჩინოდ წარმოაჩენს. არსებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ აღნიშნული ტექნოლოგიების დანერგვა სისტემური ხასიათის პროცესია, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონს მოიცავს.

ჩინური წარმოების ტექნოლოგიების მუნიციპალური შესყიდვები (2025–2026 მარტი)

თარიღი	მუნიციპა-ლიტეტი	თანხა (ლარი)	შეძენილი ტექნიკა	მწარმოებელი	მომწო-დებელი
ივნ 2025	ქუთაისი	6,600,795	სამეთვალყურეო სისტემა	Xiamen Milesight IoT Co., Ltd	Delta Consult-ing
დეკ 2025	ქუთაისი	795	სასკოლო აღჭურვილობა	Shenzhen TVT Digital Technology Co., Ltd	Bedi.ge
ივლ 2025	ხობი	69,968	ვიდეო-კონფერენციის კამერა	Guangdong Baolun Electronics Co., Ltd	Mifasi
სექ 2025	ხულო	58,374	სამეთვალყურეო სისტემა	Zhejiang Uniview Tech-nologies Co., Ltd	UGT
დეკ 2025	ხელვაჩაური	900	IP კამერები	Shenzhen TVT Digital Technology Co., Ltd	Bedi.ge
მარ 2026	ოზურგეთი	31,240	IP კამერები და დამხმარე მოწყობილობები	Tiandy Technologies	G.L.M Group

ამგვარად, მონაცემები ცხადყოფს, რომ ჩინური სამეთვალყურეო სისტემების ინტეგრირება სახელმწიფო ინფრასტრუქტურაში არა მხოლოდ სტატიკური მოცემულობა, არამედ დროში მზარდი ტენდენციაა, რომელიც საქართველოს არაერთ რეგიონს მოიცავს.

ჩინური ტექნოლოგიური ექსპანსია საჯარო სექტორში

სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელებული ინდივიდუალური შესყიდვების საერთო დინამიკა ადასტურებს, რომ ჩინური წარმოების ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების დანერგვა მუნიციპალური ერთეულების მიღმა, თითქმის ყველა ტიპის სახელმწიფო სტრუქტურაში გავრცელებული პრაქტიკაა.

ჩინური სამეთვალყურეო სისტემები ფართოდაა ინტეგრირებული საგანმანათლებლო სექტორში. ამ მიმართულებით, ტექნიკის ერთ-ერთი მსხვილი და მუდმივი შემსყიდველი შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრია. უწყების მიერ შესყიდული ჩინური წარმომავლობის ყველა აპარატურა Hangzhou Hikvision Digital Technology-ის მიერ არის წარმოებული, ხოლო მიმწოდებელი კომპანია შპს „ნეოტექია“.

საგანმანათლებლო და სასწავლო დაწესებულებების შესყიდვები (2025–2026 მარტი)

თარიღი	დაწესებულება	თანხა (ლარი)	შეძენილი ტექნიკა	მწარმოებელი	მიმწოდებელი
ივლ 2025	შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი	17,012	ქსელური კამერები და ჩამწერი მოწყობილობები	Hangzhou Hikvision Digital Technology Co., Ltd	LLC Neotech
ივლ 2025	შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი	19,296	ქსელური კამერები და ჩამწერი მოწყობილობები	Hangzhou Hikvision Digital Technology Co., Ltd	LLC Neotech
დეკ 2025	შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი	304,625	ქსელური კამერები და ჩამწერი მოწყობილობები	Hangzhou Hikvision Digital Technology Co., Ltd	LLC Neotech
ივლ 2025	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	5,547	საკონფერენციო კამერა	Kandao Technology Co., Ltd	LLC CityTech
ოქტ 2025	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯი	15,995	კომპაქტური ვიდეოკამერა და დამხმარე აღჭურვილობა	SZ DJI Technology Co. Ltd	G.L.M Group
ნოე 2026	გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი	19,370	ვიდეოჩამწერი და დამხმარე აღჭურვილობა	Hangzhou Hikvision Digital Technology Co., Ltd	LLC ITCraft
მარ 2026	სიღნაღის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლა	10,777	ვიდეოკამერა და დამხმარე მოწყობილობები	Hangzhou Hikvision Digital Technology Co., Ltd	LLC Nanotech Georgia

ჩინური სამეთვალყურეო ეკოსისტემის გავრცელება იმ სპეციალიზებულ უწყებებზეც ხდება, რომელთა საქმიანობა საველე მონიტორინგსა და ინფრასტრუქტურის მართვას უკავშირდება.

სპეციალიზებული სააგენტოების შესყიდვები

თარიღი	დაწესებულება	თანხა (ლარი)	შეძენილი ტექნიკა	მწარმოებელი	მიმწო-
ივნ 2025	ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	1,972,300	370 სამეთვალ-ყურეო ვიდეოკამერა	Xiamen Milesight IoT Co., Ltd	LLC Delta Consult-ing
ივლ 2025	ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო	11,975	სამხრე (body) ვიდეოკამერები	Shenzhen Eeyel-og Technology Co., Ltd	LLC CityTech
დეკ 2025	გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	19,560	სატრანსპორტო საშუალებების სამეთვალყურეო სისტემები	Streamax Tech-nology Co., Ltd	LLC Lumeni
თებ 2026	საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო	10,395	150 ვებკამერა	TRUST INTERNA-TIONAL B.V.[1]	LLC IT Tech

ვიდეოსამეთვალყურეო სისტემებისა და დამხმარე მოწყობილობების შესყიდვა მხოლოდ საჯარო დაწესებულებების დონეზე არ ხორციელდება. მსგავსი პრაქტიკა სახელმწიფო საწარმოებისა და მუნიციპალური დაწესებულებების საქმიანობაშიც იკვეთება.

სახელმწიფო საწარმოებისა და მუნიციპალური დაწესებულებების შესყიდვები

თარიღი	დაწესებულება	თანხა (ლარი)	შეძენილი ტექნიკა	მწარმოებელი	მიმწო-დებელი
მაი 2025	შპს „საქართველოს მელიორაცია“	7,995	გარე სამეთვალ-ყურეო კამერები	Shenzhen TVT Digital Technology Co., Ltd	Safe X
ივლ 2025	შპს „ბათუმის წყალი“	10,769	სამეთვალყურეო კამერები და დამხმარე მოწყობილობები	Zhejiang Uniview Technologies Co., Ltd	LLC IT-Craft

1 შენიშვნა: TRUST INTERNATIONAL B.V. არი ნიდერლანდური კომპანია, თუმცა მისი პროდუქციის წარმოება ჩინურ საწარმოებში ხდება.

ამგვარად, იკვეთება, რომ ჩინური წარმოების სამეთვალყურეო ტექნოლოგიები საქართველოს საჯარო სექტორში სისტემურადაა ინტეგრირებული. ექსპანსია მოიცავს როგორც კრიტიკულ ინფრასტრუქტურასა და სამხედრო-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ისე რეგიონულ სერვისებს, რაც მიუთითებს სახელმწიფო უწყებების მაღალ ტექნოლოგიურ დამოკიდებულებაზე ჩინური მწარმოებლების მიმართ.

ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების მიღმა: უპილოტო საფრენი აპარატები და სხვა ციფრული მოწყობილობები

ჩინური ტექნოლოგიების გამოყენება საჯარო სექტორში მხოლოდ სტაციონარული ვიდეოსამეთვალყურეო სისტემებით არ შემოიფარგლება. სახელმწიფო შესყიდვების მონაცემები აჩვენებს, რომ უწყებები აქტიურად იყენებენ ჩინური წარმოების უპილოტო საფრენ აპარატებსა და სხვა ციფრულ მოწყობილობებს, რაც კიდევ უფრო აფართოებს ტექნოლოგიური დამოკიდებულების არეალს.

დაცული ტერიტორიებისა და განათლების სექტორის შესყიდვები

თარიღი	დაწესებულება	თანხა (ლარი)	შეძენილი ტექნიკა	მწარმოებელი	მიმწოდებელი
ივლ 2025	დაცული ტერიტორიების სააგენტო	110,000	5 თერმული დრონი	Autel Robotics Co. Ltd (AUTEL)	LLC TMLnet
აგვ 2025	დაცული ტერიტორიების სააგენტო	100,300	4 თერმული დრონი	Autel Robotics Co. Ltd (AUTEL)	LLC Bedi.ge
სექ 2025	დაცული ტერიტორიების სააგენტო	20,768	1 თერმული დრონი	Autel Robotics Co. Ltd (AUTEL)	LLC My Mobile +
ივლ 2025	ა(ა)იპ „აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელი“	450	ბარკოდ-სკანერი	SUNLUX IOT Technology (Guangdong) Inc.	LLC RS Line

ამრიგად, ჩინური ტექნოლოგიური ექსპანსია საქართველოს საჯარო სექტორში, როგორც მუნიციპალურ დონეზე, ისე სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში სისტემურ ხასიათს ატარებს. სამეთვალყურეო სისტემების, თერმული დრონებისა და სპეციალიზებული ციფრული მოწყობილობების ინტეგრირება ისეთ კრიტიკულ სფეროებში, როგორიცაა უსაფრთხოება, განათლება და სტრატეგიული ინფრასტრუქტურა, მიუთითებს სახელმწიფო უწყებების მზარდ ტექნოლოგიურ დამოკიდებულებაზე ჩინური მწარმოებლების მიმართ. აღნიშნული დინამიკა 2025-2026 წლის მონაცემებით უცვლელად ნარჩუნდება.

ჩინური სამეთვალყურეო ეკოსისტემა: ტექნოლოგიურ მწარმოებელთა პროფილი

ჩინური წარმოების ციფრული ტექნოლოგიების მიწოდების ბაზარი საქართველოში რამდენიმე კომპანიაზეა განაწილებული, თუმცა ეს სუბიექტები, უმეტესწილად, მხოლოდ ადგილობრივი ინტეგრატორების ფუნქციას ასრულებენ. შესაბამისად, კვლევის გაანალიზება ვერ იქნება სრულყოფილი, თუ არ განიხილება იმ კომპანიების პროფილი, რომელთა წარმოებული პროდუქცია ქართულ სახელმწიფო სექტორშია ინტეგრირებული.

საქართველოს სახელმწიფო უწყებების მიერ შესყიდულ ჩინურ მოწყობილობებს შორის რამდენიმე ისეთი მწარმოებელი კომპანია ფიგურირებს, რომელთა საქმიანობა საერთაშორისო დონეზე უსაფრთხოების მაღალ რისკებთან ასოცირდება. საერთაშორისო პრაქტიკაში ისინი არაერთხელ გამხდარან კრიტიკის ობიექტები.

აღნიშნული კომპანიების ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

Hangzhou Hikvision Digital Technology Co., Ltd მსოფლიოში ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელია, რომელიც აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტის „შავ სიაში“ (Entity List) ჯერ კიდევ 2019 წელს მოხვდა. კომპანიას ბრალად ედება ჩინეთის მთავრობის მიერ უიღური მუსლიმების წინააღმდეგ განხორციელებულ რეპრესიებსა და მასობრივ თვალთვალში მონაწილეობა. გარდა ამისა, 2021 წლიდან აშშ-ის ფედერალურმა კომუნიკაციების კომისიამ (FCC) Hikvision-ის პროდუქცია ეროვნული უსაფრთხოებისთვის „მიუღებელ რისკად“ (Covered List) მიიჩნია.

2025 წელს კანადის მთავრობამ ეროვნული უსაფრთხოების საფუძვლელზე Hikvision Canada-ს საქმიანობის შეწყვეტა მოითხოვა, ხოლო 2023 წელს ავსტრალიის თავდაცვის დეპარტამენტმა განაცხადა, რომ Hikvision-ის წარმოების კამერები სახელმწიფო ობიექტებიდან მოიხსნებოდა.

Zhejiang Uniview Technologies Co., Ltd (UNV) ჩინური ვიდეოსათვალთვალო და AIoT სექტორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მწარმოებელია, კომპანიის რეპუტაცია ეჭვქვეშ დგას, ვინაიდან Uniview-ის ტექნოლოგიები არაერთ საგამოძიებო და კვლევით მასალაში მოხვდა. კერძოდ, IPVM-ის მიხედვით, Uniview-ს ტექნოლოგიები აქტიურად გამოიყენებოდა ეთნიკური ნიშნით იდენტიფიცირებისა და თვალთვალის სისტემებში.

ამ ფონზე, 2024 წლის დეკემბერში, აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტის მრეწველობისა და უსაფრთხოების ბიურომ (BIS) Uniview „შავ სიაში“ (Entity List) შეიყვანა, იმ საფუძვლით, რომ კომპანია მონაწილეობდა „მაღალტექნოლოგიურ მეთვალყურეობაში“, რომელიც მიმართული იყო როგორც ზოგადად მოსახლეობის, ისე უიღურებისა და სხვა ეთნიკურ-რელიგიური ჯგუფების წინააღმდეგ.

Tiandy Technologies საერთაშორისო ყურადღების ცენტრში 2022 წელს მოხვდა, როდესაც იგი აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტის მრეწველობისა და უსაფრთხოების ბიურომ (BIS) „შავ სიაში“ (Entity List) შეიყვანა. ფედერალური რეესტრის მონაცემებით, კომპანიის მიმართ სანქციების დაწესება განაპირობა მისმა ჩართულობამ სინძიანის რეგიონში მიმდინარე რეპრესიებში, აგრეთვე ირანის ისლამური რევოლუციური გვარდიისთვის ამერიკული წარმოშობის პროდუქციისა და ტექნოლოგიების მოპოვების ხელშეწყობამ.

SZ DJI Technology Co., Ltd, რომელიც მსოფლიოში უპილოტო საფრენი აპარატების უმსხვილესი მწარმოებელია, ჯერ კიდევ 2020 წლიდან იმყოფება აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტის მრეწველობისა და უსაფრთხოების ბიუროს (BIS) ე.წ. „შავ სიაში“ (Entity List). ფედერალური რეესტრის განმარტებით, DJI იმ სუბიექტთა ჩამონათვალში მოხვდა, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მაღალტექნოლოგიურ მეთვალყურეობასა და ადამიანის უფლებების დარღვევებს.

საერთაშორისო უსაფრთხოების ჭრილში კომპანიის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ეჭვები მონაცემთა ჩინეთის სპეცსამსახურებისთვის გადაცემასა და უკრაინის ომში მისი ტექნოლოგიების ორმაგი დანიშნულებით გამოყენებაზე. აღნიშნული რისკების გათვალისწინებით, DJI აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის (DOD) „ჩინური სამხედრო კომპანიების“ ჩამონათვალშიც ფიგურირებს.

Autel Robotics ბოლო წლებში დასავლურ პოლიტიკურ და მარეგულირებელ სივრცეში მზარდი ყურადღების ობიექტად იქცა. 2024 წელს აშშ-ის კონგრესში წამოიჭრა ინიციატივა კომპანიის მიერ წარმოებული ახალი დრონების ამერიკულ ბაზარზე დაშვების აკრძალვის შესახებ, რაც მონაცემთა უსაფრთხოების რისკებს უკავშირდება.

2024 წელს კომპანია აშშ-ის მრეწველობისა და უსაფრთხოების ბიურომ (BIS) ე.წ. „შავ სიაში“ (Entity List) შეიყვანა. ოფიციალური განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილება განაპირობა კომპანიის ჩართულობამ რუსეთისთვის კონტროლირებადი კომპონენტების მიწოდებაში, ისევე როგორც ჩინურ სამხედრო სუბიექტებთან დაკავშირებული უპილოტო საფრენი აპარატებისთვის (UAV) ამერიკული პროდუქციის მოპოვების მცდელობამ.

გარდა ამისა, Autel Robotics Co., Ltd. ფიგურირებს აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის (DOD) 2025 წლის „ჩინური სამხედრო კომპანიების“ სიაში. პარალელურად, FCC-ის 2025-2026 წლების გადაწყვეტილებებმა კიდევ უფრო გაამკაცრა რეგულაციები უცხოური წარმოების უპილოტო სისტემების (UAS) მიმართ, რასაც Autel საჯაროდ ასაჩივრებს.

სანქცირებული, შავ სიაში შეყვანილი, აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტის „სუბიექტთა სიაში“ (Entity List), FCC-ის „დაფარულ სიაში“ (Covered List), ეროვნული უსაფრთხოების რისკთან ასოცირებული ადამიანის უფლებების დარღვევებთან დაკავშირებული სტატუსი.

ტექნოლოგიური სუვერენიტეტი თუ სისტემური საფრთხე?

სახელმწიფო ინფრასტრუქტურაში ჩინური წარმოების ტექნოლოგიების ინტეგრირება კომპლექსური გამოწვევაა, სადაც უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები რამდენიმე ურთიერთგადაჯაჭვული ფაქტორით განისაზღვრება.

Atlantic Council-ის შეფასებით, ჩინური სათვალთვალო ტექნოლოგიების გავრცელება არა მხოლოდ ცალკეული მოწყობილობების ექსპორტი, არამედ „სათვალთვალო ეკოსისტემის“ ექსპანსიაა, სადაც სახელმწიფო ინტერესები, კერძო სექტორი და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა ერთიან, სინქრონულ სისტემად ფუნქციონირებს.

აღნიშნული პროდუქციის გამოყენება სახელმწიფო სექტორში რამდენიმე ძირითად რისკ-ფაქტორს უკავშირდება:

ციფრული „ტროას ცხენი“: კიბერუსაფრთხოების და მონაცემებზე „ფარული წვდომის“ საფრთხე

ციფრულ ეპოქაში პროგრამული უზრუნველყოფა მხოლოდ ფუნქციური ინსტრუმენტი არ არის, იგი თანამედროვე მოწყობილობების უსაფრთხოების ერთ-ერთი ფუნდამენტური საყრდენია. ტექნიკურ საფრთხეს ქმნის სისტემებში წინასწარ ინტეგრირებული ხარვეზის არსებობა, რაც მესამე მხარეს მონაცემებზე ფარული წვდომის შესაძლებლობას აძლევს. ეს ეჭვქვეშ აყენებს ინფორმაციულ ხელშეუხებლობასა და სისტემურ მდგრადობას. კერძოდ, CISA და FBI-ის ერთობლივი ოფიციალური გზამკვლევი პირდაპირ ეხება ჩინური წარმოების დრონებს და წერს, რომ ისინი კრიტიკული ინფრასტრუქტურისთვის „მნიშვნელოვან რისკს“ წარმოადგენენ. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ასეთი სისტემების ექსპლუატაციამ შეიძლება მგრძნობიარე ინფორმაცია ჩინეთის ხელისუფლებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს.

ამ საფრთხეს უფრო ფართო სტრატეგიულ კონტექსტში განიხილავენ FBI-ის დირექტორი კრისტოფერ რეი და CISA-ის დირექტორი ჯენ ისტერლი. კრისტოფერ რეის შეფასებით, ჩინეთი ცდილობს, კრიზისულ ვითარებაში „სამოქალაქო ინფრასტრუქტურაზე დარტყმით პანიკა გამოიწვიოს”. ჯენ ისტერლიმ კი განაცხადა, რომ ჩინური კიბერაქტორები, მათ შორის Volt Typhoon, აშშ-ის „კრიტიკული ინფრასტრუქტურის სიღრმეში აღწევენ“, რათა კრიზისის ან კონფლიქტის პირობებში დესტრუქციული ქმედებები განახორციელონ.

საფრთხის რეალისტურობას ბოლო წლების გამოცდილებაც ადასტურებს. FBI-ისა და CISA-ს 2024 წლის ერთობლივი განცხადების თანახმად, რამდენიმე ამერიკული სატელეკომუნიკაციო კომპანიის ქსელი ჩინეთთან აფილირებული აქტორების კიბერთავდასხმის სამიზნე გახდა. უწყებების ცნობით, თავდამსხმელებმა მოიპოვეს მომხმარებელთა ზარების ჩანაწერებთან დაკავშირებული მონაცემები, შეაღწიეს მთავრობისა და პოლიტიკური წრეების წარმომადგენელთა ნაწილის კერძო კომუნიკაციებში და წვდომა მიიღეს სამართალდამცავი ორგანოების სასამართლო მოთხოვნებთან დაკავშირებული გარკვეული ინფორმაციაზეც.

შემთხვევა აჩვენებს, რომ სამოქალაქო და კომერციული ინფრასტრუქტურის მეშვეობით კრიტიკულ მონაცემთა ნაკადში შეღწევა მხოლოდ ჰიპოთეზური საფრთხე არ არის, იგი რეალურ გამოწვევად იქცა სახელმწიფო უსაფრთხოებისა და ინფორმაციული სუვერენიტეტის დაცვის კუთხით.

ჩინეთის კანონმდებლობა: იურიდიული ვალდებულება სახელმწიფო კონტროლის წინაშე

ერთ-ერთი ყველაზე ხშირად ციტირებული და კრიტიკული საკითხი ჩინური ტექნოლოგიების შეფასებისას ქვეყნის სამართლებრივი გარემოა:

! „ეროვნული დაზვერვის შესახებ“ 2017 წლის კანონის თანახმად, ყველა ორგანიზაცია და მოქალაქე ვალდებულია, „მხარი დაუჭიროს, დაეხმაროს და ითანამშრომლოს“ ეროვნულ სადაზვერვო საქმიანობასთან, ხოლო კანონი სახელმწიფო უსაფრთხოების ორგანოებს შესაბამისი თანამშრომლობის მოთხოვნის უფლებამოსილებას ანიჭებს;

! „მონაცემთა უსაფრთხოების შესახებ” 2021 წლის კანონი მნიშვნელოვნად აძლიერებს მონაცემთა დამუშავებაზე სახელმწიფო ზედამხედველობას და აფართოებს ხელისუფლების წვდომასა და კონტროლს კერძო სექტორის მფლობელობაში არსებულ ციფრულ აქტივებზე;

სამართლებრივი გარემო განსაკუთრებით მგრძნობიარეა სახელმწიფო უწყებებისთვის, რადგან არსებული კვლევები ადასტურებს, რომ ჩინეთის საკანონმდებლო ბაზა არა მხოლოდ ლოკალური რეგულაცია, არამედ გლობალური მასშტაბის ტექნოლოგიური რისკ-ფაქტორია. კვლევითი ორგანიზაცია, ავსტრალიის სტრატეგიული პოლიტიკის ინსტიტუტი (ASPI) ხაზს უსვამს, რომ ჩინეთის სამართლებრივი სისტემა არ ითვალისწინებს დამოუკიდებელ სასამართლო კონტროლს, რაც კომპანიებს არ უტოვებს იურიდიულ ბერკეტს, რომ უარი თქვან სახელმწიფო უსაფრთხოების ორგანოების მოთხოვნებზე.

პარალელურად, სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრი (CSIS), აღნიშნავს, რომ ჩინეთის ეროვნული უსაფრთხოების სისტემა კანონით ავალდებულებს სამოქალაქო და სამხედრო სექტორებს ურთიერთთანამშრომლობას, რაც ჩინურ ტექნოლოგიურ კომპანიებს სახელმწიფო დაზვერვის სისტემის ორგანულ ნაწილად აქცევს. ასევე, Mannheimer Swartling-ის მიერ მომზადებულ სამართლებრივ ანალიზში აღნიშნულია, რომ „ეროვნული დაზვერვის შესახებ" კანონის მოქმედება ექსტრატერიტორიული ხასიათისაა და იგი პოტენციურად ვრცელდება ჩინური კომპანიების უცხოურ ფილიალებსა და მათ მიერ საზღვარგარეთ დამუშავებულ მონაცემებზე.

ამრიგად, ხსენებული კვლევების საერთო დასკვნა ერთმნიშვნელოვანია: ჩინური მწარმოებლებისთვის სახელმწიფო ინტერესებთან „კოლაბორაცია" არა არჩევანი, არამედ კანონიერი ვალდებულებაა, რაც საერთაშორისო პარტნიორებისთვის მონაცემთა ხელშეუხებლობის გარანტიებს პრაქტიკულად აბათილებს.

ადამიანის უფლებები და დემოკრატიული სტანდარტები: ტექნოლოგიური ექსპორტის ეთიკური ნაწილი

სახელმწიფო სექტორში ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების მიღება სცილდება ეკონომიკურ ან ფუნქციურ ჩარჩოს და პირდაპირ უკავშირდება დემოკრატიული ღირებულებებისა და ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებს. რისკი იზრდება მაშინ, როდესაც ტექნოლოგია ინტეგრირდება ისეთ გარემოში, სადაც მონაცემთა დაცვის გარანტიები მყიფეა, ხოლო დამოუკიდებელი ზედამხედველობა - შეზღუდული.

კარნეგის საერთაშორისო მშვიდობის ფონდის (CEIP) მიერ ჩატარებული კვლევის „AI-სათვალთვალო სისტემების გლობალური ინდექსის" თანახმად, ჩინური კომპანიები, მათ შორის Huawei, Hikvision, Dahua და ZTE, მსოფლიოში AI-სათვალთვალო ტექნოლოგიების ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებლები არიან. კვლევა ხაზს უსვამს, რომ ამგვარი სამეთვალყურეო ინსტრუმენტები ხშირად პოლიტიკური კონტროლის მექანიზმად გარდაიქმნება იმ ქვეყნებში, რომლებსაც დემოკრატიული ინსტიტუტების სიმყიფე ახასიათებთ.

Freedom House ამ პროცესს უფრო ფართო პოლიტიკურ კონტექსტში განიხილავს და მას „ციფრული ავტორიტარიზმის" ექსპორტს უწოდებს. ორგანიზაციის შეფასებით, ჩინური მოდელი მოიცავს ინტერნეტის მართვის ისეთი პრაქტიკის გავრცელებას, რომელიც ფართომასშტაბიან ცენზურას, მეთვალყურეობას და პერსონალურ მონაცემთა მასობრივ შეგროვებას ეყრდნობა.

შესაბამისად, სახელმწიფო ინფრასტრუქტურაში ისეთი ჩინური ტექნოლოგიების ინტეგრირება, რომლებიც ადამიანის უფლებების სისტემურ დარღვევებთან ასოცირდება, მხოლოდ ტექნიკური ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილება არ არის. იგი ეთიკურ და პოლიტიკურ არჩევანსაც წარმოადგენს, რომელიც განსაზღვრავს ინსტიტუციურ სანდოობას, სახელმწიფოს ღირებულებით ორიენტაციას და მის ერთგულებას დემოკრატიული მმართველობის პრინციპებისადმი.